MES 4 21 0000007379

18/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 20:40 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I, II, III);
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (IV);
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე (IV საკითხი)

3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულებით
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ნათია სამუშია		პრორექტორი	I

		შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი		
3	მარინა ქარჩავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
4	ნკა თაბუკაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
5	მარიამ გაბუნია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
6	თამუნა გეგეშიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	I
7	შაკო თავაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სტუდენტების დეკანი	I
8	თეა ოდიშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	I
9	მარიამ ჯაფარიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I
10	ამირან ამბროლაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი	I
11	შოთა ღვინეფაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
12	ნატალია ხუბაშბილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	I
13	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
14	ქეთევან კინწურაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრარული ფაკულტეტის დეკანი	I I
15	მარიეტა თაბაგარი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I I
16	დავით კბილაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის	საბაკალავრო საგანმანათლებლო	I I

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" ხელმძღვანელი	
17	ლალი ხარბედია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მენეჯმენტი“ ხელმძღვანელი, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი	I I I
18	მანანა ფხაკაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I I I
19	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
20	ლიკა წულაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კულტურისა და მედიის სოციოლოგია ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გივი გავარდაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მამუკა ბენაშვილ	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	დავით ცირამუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

11	ეკა ავსაჯანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	მაია მორგოშია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ემზარ ჯგერენაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011 , N334
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა 2020 წლის 23 ოქტომბერს ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 22ოქტომბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2020 წლის 23 ოქტომბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. მეორე დღეს მოხდა უშუალოდ ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე მოხდა საბაკალავრო და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი :

1.პროგრამაში სწავლის შედეგი 7 - "კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემის ანალიზი და მისი კომპიუტერული გადაწყვეტისათვის საჭირო მოთხოვნების ჩამოყალიბება" გარანტირებულად მისაღწევად, სავალდებულო არჩევით კურსებში დაემატოს სისტემური ანალიზის და დიზაინის კურსი, სადაც განიხილება მოთხოვნების შედგენის მეთოდოლოგია და საშუალებები, ან ეს მეთოდოლოგია შევიდეს ცალკეული თემების სახით, პროგრამირების ინჟინერიის კურსში;
2. პროგრამის სწავლის შედეგი 10 - „კურსდამთავრებულს შეუძლია ზუსტ მეცნიერებებში კვლევის განხორციელება" მისაღწევად ყველა საბაკალავრო პროექტში აისახოს კვლევითი კომპონენტი;
3. „კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოება" - საგანის თემატიკა გაძლიერდეს კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების საკითხებით;
4. მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები;
5. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას;
6.განხორციელდეს პროგრამის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების ყოველწლიური სრულყოფილი ანალიზი;
7. სისტემური ხასიათი მიეცეს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის ჩატარებას;
8. პერსონალის, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ამუშავდეს პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმები;
9. უნივერსიტეტის მხრიდან დაიგეგმოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მოხდეს პერსონალის ხელშეწყობა გაცვლით პროგრამებში მათი მონაწილეობის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ფორმას ეწირება შინაარსი, მისი თქმით, შეუძლებელია არსებობდეს რაიმე ისეთი სწორი სისტემა, რომელიც ამ პროგრამას ყველა სტანდარტთან შესაბამისად არ ჩათვლიდა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს მყარი მონაცემები, პროგრამა არის ყველაზე მოთხოვნადი საქართველოში. სტუდენტები პროგრამაზე ირიცხებიან ასტრონომიული ქულებით. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის ათობით კურსდამთავრებული ამჟამად მუშაობს გლობალურ კომპანიებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე - 5 - ე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული პოზიცია არ გამომდინარეობს რაიმე დასაბუთებული ფაქტიდან. უნივერსიტეტის პოლიტიკა დამსაქმებლებთან ურთიერთობისას გამომდინარეობს სტუდენტთა საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნებიდან. დამსაქმებელთან ურთიერთობისას, დაწესებულება მუდმივად ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი და საინტერესო შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. თავისუფალი ბიზნეს პრინციპი და პირთა ავტონომიურობა გულისხმობს, რომ ხშირად ამ ორგანიზაციებს უწევთ ცვალებად ბიზნეს სამყაროში თავიანთი ოპერაციების მართვა, რაც ზუსტი რიცხვების ან თუნდაც ვაკანსიების რაოდენობის წინასწარ, თანაც რამოდენიმე წლით ადრე დასახლებას შეუძლებელს და არარეალურს ხდის.

პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა შემუშავებულია მსოფლიოს წამყვანი სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ცხადყოფს, რომ სისტემური ანალიზის და დიზაინის მსგავსი კურსი საერთოდ არ ისწავლება, ან არ წარმოადგენს არჩევით საგანს მრავალთა შორის. გარდა ამისა, ასეთი ტიპის სასწავლო კურსის დამატება სავალდებულო არჩევით საგნებში შეიძლება იყოს აზრს მოკლებული, ვინაიდან, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო არჩევით კრედიტების მინიმალური რაოდენობის დაგროვება, ისე« რომ აღნიშნული კურსი არ აირჩიოს, რითაც ექსპერტების მიერ დასმული მიზანი ვერ იქნება მიღწეული. პროგრამაში ჩართული ლექტორების უმრავლესობა წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების მქონე პრაქტიკოს სპეციალისტებს, რომლებიც ექსპერტების მიერ შემოთავაზებულ შედეგზე გასასვლელად იყენებს ე.წ Agile მიდგომებს საკუთარი კურსების ფარგლებში. ამდენად, მიზანი მიიღწევა მაგრამ იმ მეთოდით, რომელიც უნივერსიტეტს მიაჩნია უფრო შესაბამისი პროგრამის კონცეპციისთვის.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში სწავლის მე-10 შედეგის მისაღწევად სტუდენტები გადიან შემდეგ საგნებს: ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ბიოლოგია, ლოგიკა, ხელოვნური ინტელექტი, ალბათობა და სტატისტიკა, გამოყენებითი სტატისტიკა, დისკრეტული მათემატიკა, წრფივი ალგებრა, კალკულუსი 1 და 2. აღნიშნული კურსები ისე არის აწყობილი, რომ კვლევის უნარების პირველივე კურსიდან ეცნობიან ბაკალავრიატის სტუდენტები. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძიათ ჩაატარონ მინი კვლევა. საბაკალავრო პროექტის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ლექტორთან თანამშრომლობით ჩაერთოს გარკვეული სახის კვლევებში. სტუდენტების ნაწილი კი საბაკალავრო პროექტის ფარგლებში ახორციელებენ უშუალოდ პროექტებს. სტუდენტების მიერ განხორციელებული თითოეული პროექტი და ნაშრომი არის აუცილებლად პრაქტიკული ხასიათის.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მართალია იმ გაგებით, რომ კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების ძირითადი ნაწილი ეთმობა კრიპტოგრაფიას. შესაბამისად სწორი იქნება რომ ამ კონკრეტულ კურსს შეეცვალოს სახელი და დაერქვას კრიპტოგრაფია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშა, რომ მონაცემთა ბაზების კურსში ძირითადად განიხილება რელაციური მონაცემთა ბაზები. კურსი ზედაპირულად ეხება იმასაც, თუ რა ტიპის ბაზებია NoSQL და რა მახასიათებლები აქვთ მათ. თუმცა ამ კურსის ფარგლებში არც დრო დრო არ არის საკმარისი რათა სტუდენტები სიღრმისეულად დაეუფლონ NoSQL-ს და არც პრერეკვიზიტები უწყობს აღნიშნულს ხელს. ამ თემის დრო ეთმობა კურიკულუმის სხვადსხვა კურსებს, მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, მობილური აპლიკაციების ინჟინერია. დისტრიბუციული სისტემების კურსში კი სტუდენტებს ევალებათ და თავად წერენ დისტრიბუციული NoSQL მონაცემთა ბაზის იმპლემენტაცას, key-volue store-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წახალისების კუთხით დაწესებულებაში სტაბილური მდგომარეობაა და უნივერსიტეტს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს კერძო სექტორს. ფაკულტეტის ჩამოყალიბების დღიდან უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პროფესიონალი ლექტორების მოძიებაზე.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სტუდენტების გამოკითხვა სემესტრის განმავლობაში ტარდება სისტემატურად SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად და ანონიმურად შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, სკოლის ადმინისტრაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი. გარდა რაოდენობრივი კვლევებისა, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება თვისობრივი კვლევები, ჩაღრმავებული ინტერვიუები ფოკუს

ჯგუფებთან და ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან. მოცემული პროგრამა გადის საუკეთესო შედეგებზე, კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები და მოთხოვნადები არიან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტთა გამოკითხვებისა და უკუკავშირის ანალიზი სისტემატურად ხდება.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებზე, მისი თქმით, სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრა არის აკრედიტაციის სტანდარტის ფორმალური მოთხოვნა და სანამ ეს ფორმალური მოთხოვნა არსებობს, საბჭოც ვალდებული იქნება ამ ნაწილში დაეთანხმოს ექსპერტებს. უნივერსიტეტებს შეგვიძლია აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართოთ ცენტრს, მოხდეს დისკუსია და შესაძლოა შეცვალოს სტანდარტის აღნიშნული მოთხოვნა.
ექსპერტთა ჯგუფი წარმომადგენელმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მისი გათვალისწინება და მოცემული სასწავლო კურსის პროგრამაში შეტანა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აღნიშნული არ გვხვდება ქართველი სტუდენტებისთვის საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კურიკულუმების რუკის მიხედვით, შედეგზე გადის მხოლოდ რამდენიმე საგანი, კერძოდ: ფიზიკა, ბიოლოგია და ბუნებისმეტყველება. სილაბუსებიდან გამომდინარე, არ იკვეთებოდა რაიმე კვლევითი სახის აქტივობა. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შემდგე დადგინდა, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში ვერ ხორციელდება კვლევითი აქტივობები.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კითხვართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტები ნამდვილად იღებენ მონაწილეობას შეფასებებში, განსხვავებით პერსონალისგან. მათ ეს დასკვნა გააკეთეს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. რაც შეეხება წახალისების ფორმას, მისი თქმით წახალისების მექანიზმში ისინი არ გულისხმობენ აუცილებლად მატერიალურ წახალისებას. ისინი გულისხმობენ მაგალითად პერსონალის მხარდაჭერას კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს უპასუხა, რომ საკმაოდ რთული პროცესია, უნივერსიტეტმა გაარკვიოს და თვითონ განსაზღვროს, თუ რომელი ლექტორის თემა ღირს დასაფინანსებლად და რომელი არა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დააზუსტა, რომ მათთვის არ არის მნიშვნელოვანი გამოკითხვების ჩატარების რაოდენობა და ფორმა, ისინი ითხოვდნენ გამოკითხვების შედეგების ანალიზს.
დაწესებულების რექტორი დაინტერესდა, სად დაინახეს ექსერტებმა გამოკითხვის შედეგების ანალიზის არსებობის აუცილებლობა, მისი თქმით რაღაც ქაღალდი რომ არსებობდეს ჯერ უნდა დადგინდეს მისი არსებობის საჭიროება. ექსპერტებს შეუძლიათ ნახონ პროგრამაში რა ცვლილებები შევიდა აკრედიტაციის შემდეგ. თუ კი პროგრამაში შედის შესაბამისი ცვლილებები და არ არსებობს ხარვეზები, გამოდის რომ პროცესიც სწორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების მიხედვით სტუდენტების 10% აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე, შესაბამისად ის დაინტერესდა დაწესებულებას ამ მიმართულებით ჰქონდა თუ არა რაიმე კვლევა ჩატარებული, ასევე მან 2.5 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეფასება არის გადაჭარბებული და საბჭო იმსჯელებს ამ სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციების ვალიდურობაზე. ასევე, ის დაინტერესდა იმისათვის, რომ მონაცემთა ბაზების კურსი გავიდეს შედეგზე, აუცილებლად სჭირდება თუ არა NoSql მონაცემთა ბაზების საკითხების დამატება;
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ NOSQL მონაცემთა ბაზების სახეები განხილულია ორ სასწავლო კურსში, თუმცა ეთმობა მხოლოდ ერთი ლექცია. ამასთან სხვა კურსებში,

პროექტის შიგნით, მუშაობის პროცესში იყენებენ NOSQL მონაცემთა ბაზებს, ხოლო ლექტორი კურსის ფარგლებში ასწავლის აღნიშნული ბაზების სათანადოდ გამოყენებას. NOSQL მონაცემთა ბაზები მოიცავს საკმაოდ მრავალრიცხოვან საკითხებს, შესაბამისად, მის საფუძვლიანად და სიღრმისეულად შესასწავლად, შესაძლოა რამდენიმე სასწავლი კურსი იყოს საჭირო.
რაც შეეხება სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, აღნიშნული გამომდინარეობს, იქიდან, რომ სტუდენტებს სწავლების დამთავრების შემდეგ აქვთ დასაქმების პერსპექტივა. რასაც ხშირ შემთხვევაში თეორიულად მიღებული ცოდნა ვერ უწევს კონკურენციას. იმდენად დიდია სტუდენტთა მოტივაცია დასაქმების კუთხით, რომ ძნელია აღნიშნულს დაუპირისპირონ მომავალში ინვესტიციის ალტერნატივა. მოცემულ ინდუსტრიაში აკადემიური ხარისხი თავისი ნომინალური ღირებულებით არის დაბალი, ხოლო დასაქმების შესაძლებლობა და ანაზღაურება მაღალი.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ დააზუსტა შიდა მობილობის საკითხი და დაინტერესდა, ძირითადად რომელი ფაკულტეტიდან ხდებოდა მობილობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შიდა მობილობა ძირითადად ხდება სკოლის ფარგლებში, კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტიდან, თუმცა მობილობა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება.
საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგებში გაწერილია მათემატიკური შედეგები, თუმცა დიფერენციალური განტოლებები და რიცხვითი მეთოდები მოცემულია არჩევითი სასწავლო კურსების სახით. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება სწავლებს შედეგებზე გასვლა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტებს აქვთ სრული თავისუფლება აირჩიონ მათემატიკური საგნები. თუმცა, ის სტუდენტები რომლებიც არ აირჩევენ საგნებს, შედეგებზე გადიან ხელოვნური ინტელექტის სასწავლო კურსის გავლის შედეგად.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ამინდის პროგნოზის მოდელირებისთვის ძირითადად გამოიყენება გაზების დინამიკა, რომელის ფარგლებშიც ხდება დიფერენციალური განტოლებების გამოყენება.
რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგების მისაღწევად, უმჯობესია დიფერენციალური განტოლებები და რიცხვითი მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსებად.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მანქანური სწავლება, ძირითადად მოიცავს რიცხვით მეთოდებსა და სტატისტიკას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 17:33

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, ასევე, დაამატა ერთი რეკომენდაცია.
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომედაციები

1.დაკორექტირდეს სწავლის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია მათემატიკურ ცოდნასა და უნარებთან (შედეგი 3, შედეგი 5, შედეგი 9) და მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებთან ან მოხდეს ძირითადი განათლების სავალდებულო არჩევითი საგნებიდან „დიფერენციალური განტოლებებისა“ და „რიცხვითი მეთოდების“ გადატანა კურიკულუმის ძირითადი სავალდებულო განათლების ნაწილში.

2. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას;

რჩევები

1)პროგრამის შედეგი 2 - კურსდამთავრებულს აქვს კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინის ცოდნა. სასურველია მითითებული იყოს რომელი დისციპლინების ცოდნა იგულისხმება;

2)სტუდენტებში აკადემიური/ტექნიკური ქართული ტერმინოლოგიის დასამკვიდრებლად სასურველია რიგ სილაბუსებში თემატიკა წარმოდგენილ იქნას ქართულ ენაზე;

3)სისტემური პროგრამირების საკითხები მკაფიოდ გამოიკვეთოს და გაძლერდეს რომელიმე პროგრამირების კურსში ან დაემატოს სისტემური პროგრამირების კურსი;

4)სასწავლო კურსი „დისტრიბუციული სისტემები“ ძალიან გადატვირთულია მძიმე საკითხებით, რომელთა განხილვასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება (მაგ: Spark-ი სისტემასთან მუშაობის საკითხები და სხვა). სასურველია შემსუბუქდეს ამ სასწავლო კურსის სილაბუსი;

5)საბაკალავრო ნაშრომის წარდგენისას ყურადღება მიექცეს აკადემიურად წერის კულტურას;

6)პერსონალის შერჩევის წესში მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკონკრეტება;

7)მოხდეს პირადი საქმეების შევსება ყველა საჭირო დოკუმენტით.

8)განხორციელდეს პროგრამის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების ყოველწლიური სრულყოფილი ანალიზი;

9) სისტემური ხასიათი მიეცეს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის ჩატარებას;

10)პერსონალის, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ამუშავდეს პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმები;

11)უნივერსიტეტის მხრიდან დაიგეგმოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მოხდეს პერსონალის ხელშეწყობა გაცვლით პროგრამებში მათი მონაწილეობის მიზნით;

12) პროგრამაში სწავლის შედეგი 7 - “კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემის ანალიზი და მისი კომპიუტერული გადაწყვეტისათვის საჭირო მოთხოვნების ჩამოყალიბება“ გარანტირებულად მისაღწევად, სავალდებულო არჩევით კურსებში დაემატოს სისტემური ანალიზის და დიზაინის კურსი, სადაც განიხილება მოთხოვნების შედგენის მეთოდოლოგია 5 და საშუალებები, ან ეს მეთოდოლოგია შევიდეს ცალკეული თემების სახით, პროგრამირების ინჟინერიის კურსში;

13) პროგრამის სწავლის შედეგი 10 - „კურსდამთავრებულს შეუძლია ზუსტ მეცნიერებებში კვლევის განხორციელება“ მისაღწევად ყველა საბაკალავრო პროექტში აისახოს კვლევითი კომპონენტი;

14)„კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოება“ - საგანის თემატიკა გაძლიერდეს კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების საკითხებით;

15)მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	16.09.2011 , N28
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აგროინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა N53, აგრარული ფაკულტეტი N19
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 22 ოქტომბერს, რომლის დროსაც გაიმართა შეხვდრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან, მოხდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებში.;
2. ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება;
3. ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია, რომელიც წარმოდგენილია დასკვნასთან ერთად

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტს განემარტა თუ რამ განაპირობა განსხვავებული აზრის არსებობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსხვავებული აზრის წარმოდგენა ემსახურება იმ მიზანს, რომ დაწესებულებას მომავალში ჰქონდეს პროგრამა, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი ბაზარზე. მისი თქმით აკრედიტაციის ვიზიტის დროს არ ყოფილა ისეთი გადაცდომები, რომლებიც ხელს შეუშლის პროგრამას მიზნის მიღწევაში, თუმცა, იყო გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით ცირამუამ საბჭოს გააცნო თავის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უნივერსიტეტმა გადახედოს ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკას და უზრუნველყოს სტუდენტების მომზადება მინიმუმ B2 დონეზე, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში;
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს კარიერული სერვისების შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირება, ამასთან, შეიმუშავოს პროგრამის პროფილის შესაფერისი ინსტრუმენტები კარიერული მხარდაჭერის ნაწილში, ხოლო სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პერიოდულად გაუზიაროს პროფილური ვაკანსიები;
3. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებისთვის რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგლისური ენის სწავლება შესაბამის დონეზე, თუნდაც დამატებითი, კრედიტსმიღმა კლასების ან ინგლისური ენის სტუდენტური კლუბების ორგანიზებით.
4. უნივერსიტეტმა პროგრამის სტუდენტებში ჯეროვნად გაავრცელოს ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით, სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურებისა და ელექტრონული რესურსების საშუალებით;
5. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში პლაგიატზე ცნობიერება დაბალია, უნივერსიტეტმა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით უნდა უზრუნველყოს მათი ინფორმირება საუნივერსიტეტო პოლიტიკის და იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც პლაგიარიზმის დეტექციისას გამოიყენება;

6. უნივერსიტეტმა სათანადოდ უნდა უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებით, რათა პროგრამაზე მოხდეს უახლესი ცოდნისა და პრაქტიკების გაზიარება;
7. უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს ინფრასტრუქტურის განვითარება. ხშირ შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების ობიექტი საჭიროებს როგორც სარემონტო სამუშაოებს, ისე ინვენტარის განახლებას;
8. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის მექანიზმებში, ამასთან, სტუდენტებმა კვლევის დასრულების შემდეგ უნდა მიიღონ ინფორმაცია, რა ტიპის ცვლილება მოჰყვა მათ უკუკავშირს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პლაგიატთან ბრძოლა არის საუნივერსიტეტო სტრატეგია, ისინი ხშირად ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებს და შეხვედრებს იმისათვის, რომ ამაღლდეს ცნობიერება პლაგიატთან დაკავშირებით. ასევე, აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს დებულება პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, მათ პლაგიატთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით შექმნილი აქვთ ვიდეო რგოლები. ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ 2018 წლიდან 2020 წლამდე როდესაც ხდებოდა აღნიშნული პროგრამის განახლება ხარისხის სამსახურმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და თვითშეფასების ჯგუფმა გადაწყვიტა რომ გაეძლიერებინა ეს კომპონენტი და მეოთხე საგნად დაემატა დარგობრივი უცხო ენა, ასევე უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინგლისური ენის ჯგუფი, რომელიც ყველა პროგრამის სტუდენტს აძლევს საშუალებას რომ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში, ასევე წარმატებით მუშაობს სტუდენტთა ინგლისურენოვანი დებატკლუბი.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ პლაგიატთან ბრძოლის მიმართულებით აგრარულმა ფაკულტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მისი თქმით ყველა სამეცნიერო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე. აგრარულ ფაკულტეტს გააჩნია საკუთარი დარგობრივი რეიტინგული რეფერირებადი ჟურნალი. მისი თქმით, როდესაც სამეცნიერო კომფერენციები ტარდება ისინი სტუდენტებსაც კი ავალდებულებენ რომ მათი მოხსენებები უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა კრიტერიუმს, რაც მოწმდება პლაგიატზე. აგრარული ფაკულტეტი იყო პირველი, რომელმაც პანდემიის პერიოდში ჩაატარა კონფერენცია რომელშიც 75 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას თავიანთი მოხსენებებით და ყველა მათი ნაშრომი პლაგიატზე იყო შემოწმებული. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აგრარული ფაკულტეტი არის ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად მოხვედრილი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში, მათ დიდი შრმის შედეგად შეძლეს რომ ჰქონოდათ საკუთარი ინფრასტრუქტურა, ცხადია რომ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი არის უზარმაზარი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც აქვს უამრავი ფაკულტეტი და საბოლოო ჯამში ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად ისინი, თავიანთი ბიუჯეტიდან გამომდინარე ცდილობენ მოერგონ სიტუაციას და მათ აქცენტი ძირითადად გაკეთებული აქვთ პროგრამის და სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე.

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე, მათ შორის აგრარულ ფაკულტეტზეც მოქმედებს ეგრეთწოდებული ტუტორთა ინსტიტუტი, რომელშიც ჩართული არიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აქტიური სტუდენტები ყველა სპეციალობიდან. ტუტორები ხარისხის სამსახურთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია

ხარისხის სამსახურთან და შიდა მექანიზმთან. ტუტორებს მათი სპეციალობის მიხედვით ანაწილებენ სტუდენტებზე. ტუტორები და ხარისხი ერთმანეთთან მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან, ხშირად იკრიბებიან და სტუდენტებთან დაკავშირებით გასცემენ სხვადასხვა რეკომენდაციებს.

ექსპერტმა დავით ცირამუამ აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანია დადსტურდეს თვითშეფასებაში ასახული ინფორმაციის და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა რეალობასთან. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები ეყრდნობა ვიზიტის დროს შესაბამისი სესიებიდან მიღებულ ინფორმაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ აგრო-ინჟინერიის დარგი განიცდის სპეციალისტების ნაკლებობას მან დაწესებულებას ურჩია, რომპრაქტიკულ ნაწილში მოცემული საქართველოს ნიადაგები და მათი დახასიათება, გადავიდეს ცალკე ნაწილად, სადაც უფრო დეტალურად იქნება მოცემული ნიადაგი და მისი სტრუქტურა.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, სასწავლო კურსი, ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები", იმეორებს სასკოლო სწავლების თემატიკას, შესაბამისად, უმჯობესია აღნიშნული კურსის შინაარსის მოდიფიკაცია და მასში მეტი ტექნიკური საკითხების შეტანა.
გიორგი თურქმიას თქმით საგანმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა დარგი უნდა აიყვანოს სხვა საფეხურზე სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ქსელურ მოწყობილობებზე, რომლებიც, კომპიუტერებთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან იქნება სინთეზში.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრების პოზიციას, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ მოცემული საკითხები სხვადასხვა სასწავლოს კურსების ფარგლებში არის განხილული.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხები უფრო გაღრმავებულია ორ სასწავლო კურსში „ტვირთმცოდნეობა" და „ტვირთების მომზადება გადაზიდვისთვის", სადაც ხდება საწყისი ინფორმაციის იდენტიფიცირება და მიღებული შესაბამისი სიგნალების გადაცემა შესაბამისი საკონუმიკაციო საშუალებებით.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს - აგრო-ინჟინერიის სფეროსთვის მოამზადოს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ბაკალავრი. ის დაინტერესდა პროგრამაში არსებული ორი კურსის გარდა - აგრობიზნესის საფუძვლები და დარგობრივი ეკონომიკა, არსებობს თუ არა კურსები, რომლებიც სტუდენტს უქმნის წარმოდგენას, აგრო-ბიზნესში არსებული პროცესებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ კურსებს წარმოადგენს, ,,მანქანათა ტექნიკური სერვისი" და ,,სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაცია", სადაც მოცემულია უშუალოდ საექსპლუატაციო ხარჯები, მექანიზმების ამუშავება და თვითღირებულების განსაზღვრა, რომელიც მთლიანად ეკონომიკურ გაანგარიშებასა და მართვის პროცესებთან არის დაკავშირებული. მეორე ასპექტს კი წარმოადგენს მომარაგების უზრუნველყოფა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:41
დასრულების დრო: 19:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ კერძოდ პირველი და მეორე სტანდარტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1)სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებში;
2) რეკომენდირებულია, სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უნივერსიტეტმა გადახედოს ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკას და უზრუნველყოს სტუდენტების მომზადება მინიმუმ B2 დონეზე, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში;
3)დაწესებულებამ უზრუნველყოს კარიერული სერვისების შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირება, ამასთან, შეიმუშავოს პროგრამის პროფილის შესაფერისი ინსტრუმენტები კარიერული მხარდაჭერის ნაწილში, ხოლო სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პერიოდულად გაუზიაროს პროფილური ვაკანსიები;
4)ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებისთვის რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგლისური ენის სწავლება შესაბამის დონეზე, თუნდაც დამატებითი, კრედიტსმიღმა კლასების ან ინგლისური ენის სტუდენტური კლუბების ორგანიზებით;
5) უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის მექანიზმებში, ამასთან, სტუდენტებმა კვლევის დასრულების შემდეგ უნდა მიიღონ ინფორმაცია, რა ტიპის ცვლილება მოჰყვა მათ უკუკავშირს;
6) რეკომენდირებულია მიზნებისა და შედეგების ფორმირება ისე, რომ იყოს რეალისტური და მიღწევადი;
7) რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის ფორმირება.განახლებული მიზნის შესაბამისად დაემატოს აგრო ბიზნესში უახლესი ცოდნის მიღებისთვის აუცილებელი კურსები;
8) რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმში არსებული სასწავლო კურსების განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას აგრო ბიზნესში არსებული პროცესებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა.
9.რეკომენდირებულია გადაიხედოს და განახლდეს კურსი “საინფორმაციო ტექნოლოგიები”.

რჩევები:
1) პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება;
2) ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება;
3) გაძლიერდეს აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება-პროგრამის პოპულარიზაცია;
4) სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს უცხოური ენის სწავლების კომპონენტს კიდევ უფრო გაძლიერებისათვის;
5) ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება;
6) ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
7)უნივერსიტეტმა პროგრამის სტუდენტებში ჯეროვნად გაავრცელოს ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით, სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურებისა და ელექტრონული რესურსების საშუალებით;

8) პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში პლაგიატზე ცნობიერება დაბალია, უნივერსიტეტმა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით უნდა უზრუნველყოს მათი ინფორმირება საუნივერსიტეტო პოლიტიკის და იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც პლაგიარიზმის დეტექციისას გამოიყენება;
9) უნივერსიტეტმა სათანადოდ უნდა უზრუნველყოს პროფესორ - მასწავლებლების ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებით, რათა პროგრამაზე მოხდეს უახლესი ცოდნისა და პრაქტიკების გაზიარება;
10) უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს ინფრასტრუქტურის განვითარება. ხშირ შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების ობიექტი საჭიროებს როგორც სარემონტო სამუშაოებს, ისე ინვენტარის განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31 მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წელიწადში მონიტორნგის განხორციელების პირობით

19:10- საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი თურქიამ
19:11- საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ტუფინაშვილი

მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.01.2019 , N3
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4400, ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 11. მე - 20 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ფოთში მდებარე საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე, რომელიც 1992 წლიდან ფუნქციონირებს. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N3 (09.01.2019 წ) გადაწყვეტილებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ თითქმის ყველა რეკომენდაცია ფაითვალისწინა, რომელთა შესრულებაც N3 გადაწყვეტილებით დაევალა, თუმცა ექსპერტებს გააჩნიათ გარკვეული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები; აქ საუბარია, ისეთ კომპონენტებზე, სადაც შესაძლებელია ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის მიღწევა. ეს ყველაფერი დასტურდება სილაბუსებში თუმცა ეს არ არის პროგრამის სწავლის შედეგებში ასახული .
2. რეკომენდებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით;
3.რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
4. რეკომენდებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა, აქ საუბარია იმაზე რომ პროგრამაში ჩართულია ჯამში 20 აკადემიური პერსონალი, ბალანსი არის 12/8 - ზე. 20 აკადემიურ პერსონალზეა გადანაწილებული 240 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებული იღებს მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაციას, კარგი იქნებოდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მენეჯერისათვის საჭირო ზოგადი სამართლებრივი საკითხების სწავლებასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა ექსპერტთა და საბჭოს წევრთა რჩევების გათვალიწინება და აუცილებელი ცვლილებების გატარება. პროგრამა აიგო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით. პროგრამის ხელმძღვანელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელმაც პანდემიის პირობებში უნივერსიტეტებისთვის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის სამსახურისთვის განახორციელა არაერთი მხარდამჭერი ღონისძიება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეხვედრებზე, ექსპერტების ერთი ნაწილის მხრიდან, მუდმივად იკვეთებოდა აზრი, რომ საწყის ეტაპზე, როდესაც ხდება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად, სწავლის შედეგების ფორმირება, ზოგიერთ პროგრამაში დაწესებულებას შეუძლია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი არ გამოიტანოს სწავლის შედეგებში. რის შესაძლებლობასაც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო იძლევა. მისი თქმით, სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პირდაპირ, აკადემიური მოსწრების ანალიზით, ასევე, არაპირდაპირი მეთოდებით, რაშიც იგულისხმება სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. იქიდან გამომდინარე,

რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო იძლევა შესაძლებლობას, რომ არ არის აუცილებელი საბაკალავრო დონეზე სწავლის შედეგებში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გამოტანა, პროგრამაში აღნიშნული არ არის მოცემული. უცხო ენებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ უცხო ენათა სილაბუსს ახორციელებს უცხო ენათა ცენტრი და არა ფაკულტეტის რომელიმე დეპარტამენტი. შესაბამისად, სილაბუსები მოწოდებულია ცენტრის მიერ. მათთან საკითხის განხილვის შემდეგ, სწავლის შედეგებში ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ამოღებულ იქნა უცხო ენის სილაბუსებიდან. შესაბამისად არსებობდა ტექნიკური ხარვეზი.
პროგრამის ხელმძღვანელმა მე - 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებულად, საგამოცდო ცენტრი მიერ. არსებობს რექტორის ბრძანება, რომელიც არეგულირებს გამოცდის ჩატარების წესს, სასწავლო დატვირთვებშიც ასახულია, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია სამი საათი, თუმცა რატომღაც ისე აღმოჩნდა, რომ ბევრ სილაბუსში თანაფარდობა არის ½ - თან და ალბათ კითხვაც სწორედ აქედან გამომდინარე წარმოიშვა, თუ როგორ შეიძლება ყველა საგნისთვის საკმარისი იყოს ერთი საათი. დასკნის პროექტში ასახული იყო, რომ ინტერვიუებში ზოგიერთი აკადემიური აღნიშნავდა რომ მათ აქვთ ერთნახევარი საათი და ეს არ იყო საკმარისი, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა რომ პერსონალს მხედველობაში ჰქონდა დისტანციური სასწავლო პროცესის შუალედური გამოცდების ჩატარება, როდესაც წარმოიქმნება გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სტუდენტების საჭიროებები მაქსიმალურად იყოს გათვალისიწინებული. დაწესებულებამ ასევე განახორციელა აღდგენითი გამოცდები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ტექნიკური პრობლემები. თუ გამოცდის სპეციფიკა მოითხოვს მისი სტრუქტურის ცვლილებას, აღნიშნული აუცილებლად განხორციელდება დაწესებულების მიერ. დაწესებულება მზად არის აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, დაწესებულებამ გააააქტიურა თანამშრომლობა ბიზნეს სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან. პროგრამის შიდა შეფასება სწორედ ამ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა. აღნიშნული დეპარტამენტიდან მოხდა მენეჯმენტის მიმართულებით პროფესორის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში. ასევე მოწვეული იქნა ფილოსოფიის დოქტორი ქალაქ ფოთიდან, ასე რომ, გარკვეულწილად მოხდა იმ პერსონალის განტვირთვა, რომლებზეც წარმოდგენილი იყო ექვსი თუ შვიდი სასწავლო კურსი. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ წარმატებით დანერგა და განახორციელა ელექტრონული სწავლება. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღნიშნული პროცესი იყოს გაადვილებული. შემუშავებულია ასევე ვიდეო რგოლები, რომლებიც განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ლექტორებისთვისაც.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება კვალიფიკაციის მოთხოვნებს. დაწესებულებამ რეკომენდაციის შესაბამისად, უარი თქვა მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციაზე, რაც დამატებით ადამიანურ რესურსაც მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის კონცენტრაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა თუ არსებობდა რაიმე სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენი სტუდენტი ირჩევდა პროგრამაში არსებულ კონცენტრაციებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონცენტრაცია არ არის არჩევითი. დაწესებულებაში ადრე მოქმედებდა საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროგრამა, რომლის კვალიფიკაციაც იყო მენეჯმენტის ბაკალავრი, თუმცა მოხდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება. სახელწოდების გამო ხშირად ირღვეოდა გენდერული ბალანსი, რადგან

პროგრამაზე ძირითადად ვაჟები ინტერესდებოდნენ. შესაბამისად, ამ მიზნით განხორციელდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება, ხოლო საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი პროგრამაში დარჩა კონცენტრაციის სახით.
რომ ალბათ მან არასწორად აღიქვა პროგრამის სტრუქტურა, ვინაიდან არსებობდა კონცენტრაცია ჩანდა რომ ის თითქოს არჩევითი იყო, იგივე 30 კრედიტი პროგრამაში არის არჩევითი და რაელურად ეს ქმნის წარმოდგენას თითქოს ან ამ 30 კრედიტს მიყვება სტუდენტი ან მიყვება კონცენტრაციის 30 კრედიტს.
პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი კონცენტრაცია, პროგრამის მიზნები და შესაბამისად სწავლის შედეგებიც გამოდის საკმაოდ ფართო ვიდრე კონცენტრაციის, გასაგებია რომ არქიტექტურა ზოგადად გვაძლევს ზოგადი მიმართულების საგნებს. მაგრამ მაშინ ვიტყოდით რომ პროგრამის მიზნები უფრო ფართოა, ხოლო კონცენტრაციის მიზნები გვაფიქრებინებს, რომ ეს არ არის კონცენტრაცია. თუ პროგრამაში წარმოდგენილი კონცენტრაცია სავალდებულოა, მაშინ მიზნებიც და შედეგებიც შესაბამისად უნდა იყოს ფორმულირებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნები ორ ნაწილად არის წარმოდგენილი, რაც შეეხება კონცენტრაციას, აღნიშნული 30 კრედიტიანია. ზოგადი მენეჯმენტის კურსებზე პროგრამა ნამდვილად ორიენტირებულია, რადგან პროგრამა მოიცავს მენეჯმენტის მიმართულების თითქმის ყველა საგანს. შესაბამისად სტუდენტები, დაწესებულების გარეთ თავისუფლად განამტკიცებენ მიღებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას, რომელსაც მათ აძლევს აღნიშნული პროგრამა. როგორც მან აღნიშნა, სწავლის 10 შედეგიდან, 2 ეხება კონცენტრაციას.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, დაადასტურა, რომ ზოგიერთ საბაკალავრო პროგრამაში დაწესებულებას შეეძლო არ გამოეტანა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი, რის საფუძველსაც, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოც იძლევა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მომხდარიყო უნარების გაძლიერება. გარდა ამისა საყურადღებოა, რომ პროგრამა ამ სახით წარმოდგენილი შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე, რადგან პროგრამა უნდა განვითარდეს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა კუთხით გეგმავს დაწესებულება განვითარებას, რომ პროგრამას გააჩნდეს ზემოაღნიშნული შედეგი და სტუდენტი ფლობდეს ამ კონცენტრაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა თავმჯდომარის რეკომენდაციაც არის, რომ პროექტის მართვის სილაბუსში, სადაც მოცემულია, რომ სტუდენტმა უნდა გააკეთოს პროექტი, აუცილებელია სწავლის შედეგებში გაწერილი იყოს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, გარდა ამისა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში სწავლის შედეგებში მათ უკვე ასახული აქვთ ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, მათ ეძლევათ შესაძლებლობა სხვა სასწავლო კურსებშიც სწავლის შედეგების კორექტირებით აუცილებლად გავიდნენ ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობაზე. ასე რომ, როგორც მან აღნიშნა, ისინი არ ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას, უბრალოდ განმარტეს თუ ამ ეტაპზე რატომ არ არის ასახული ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის კონცენტრაცია.
საბჭოს წევრმა, ნიკოლო კიკნაძემ დაწესებულებას ურჩია, რომ მათი მხრიდან ასვე მოხდეს რჩევების გათვალისწინებაც, რაც პროგრამის განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია. მნიშვნელოვანია, ასევე ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სილაბუსის შინაარსის ცვლილება. საყურადღებოა, ასევე ,,ექსელი ბიზნესისთვის’ და ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სილაბუსებს შორის ბმის მოძიება, რადგან ხდება თემების გადაფარვა. რაც შეეხება ,,პროფესიული პრაქტიკის“ სასწავლო კურსს, აღნიშნულისთვის გათვალიწინებულია 5 კრედიტი, ხოლო მუშაობა ხდება 4 საათის განმავლობაში, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება კრედიტების გადანაწილება. ასევე ზოგიერთ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ერთმანეთს ფარავს,

შესაბამისად მნიშვნელოვანია ლიტერატურის ცვლილება და განახლება. სულაბუსებში უნდა მიეთითოს ის ლიტერატურა, რომელიც აუცილებლად იქნება გამოყენებული სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდში.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში ყველაზე კარგად წარმოჩენილია პრაქტიკის კომპონენტი, პრაქტიკა გრძელდება 15 კვირის განმავლობაში, რეალური დამსაქმებლები, რომლებიც პროგრამაში არიან ჩართული, არიან ის კომპანიები სადაც საქმდებიან კურსდამთავრებულების 60 % და სწორედ ის ფოკუსია გაკეთებული, რაზეც პრაქტკაა ორიენტირებული, მათ ნახეს პრაქტიკის დღიურებიც, სადაც კარგად ჩანს თუ რას აკეთებენ სტუდენტები ოთხ საათიანი დატვირთვის ფარგლებში, პრაქტიკის შედეგად ბევრი მათგანი საქმდება ადგილობრივ კომპანიებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების პრაქტიკებზე განაწილება ხდება სხვადასხვა ობიექტებზე, შესაბამისად დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები და თანამშრომლობენ სხვადსხვა კომპანიებთან. მისი თქმით, როდესაც პრაქტიკისთვის ხდება ერთი დღის გამოყოფა, აღნიშნულ შემთხვევებშიც ორგანიზაციებისთვისაც მარტივია პროცესის სტრუქტურულად განხორციელების უზრუნველყოფა. ასევე აღსანიშნავია, რომ დაინტერესება დამსაქმებლების მხრიდანაც დიდია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება რჩევებისა და მოსაზრებების გაზიარება და გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:00
დასრულების დრო: 20:05
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება,

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები;
2) რეკომენდირებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით;
3) რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
4) რეკომენდირებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;

5) რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადახედვა, გადაფარვების აღმოფხვრა და ლოგიკური განვითარება;
6) რეკომენდირებულია სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების აღმოფვრა;
7) რეკომენდირებულია კურსების სილაბუსებში ძირითადად ლიტერატურად მითითებული იყოს მხოლოდ სწავლების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოები.

რჩევები
ა) სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მენეჯერისათვის საჭირო ზოგადი სამართლებრივი საკითხების სწავლებისთვის;
ბ) სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (ბიზნესის საფუძვლები, ლიდერობა) სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება;
გ) სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის (ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, სატრანსპორტო ლოჯისტიკა და სხვა.) სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შესასწავლი თემატიკის ჩაშლა კონკრეტული საკითხების დონეზე;
დ) სასურველია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), მისი მნიშვნელობიდან და დატვირთვიდან გამომდინარე გაიზარდოს და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს მიეცეს მეტი დროის (ნაცვლად კვირაში მხოლოდ 4 საათისა) გატარების საშუალება;
ე) სასურველია უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებთან მიმართებით გააქტიუროს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მექანიზმები;
ვ) სასურველია უნივერსიტეტმა ინტენსიურად მოახდინოს სტუდენტების სრული ინფორმირება ცოდნის შეფასებების გასაჩივრების უნივერსიტეტში არსებული პროცედურის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

20:06- საბჭოს სხდომა დატოვა ირმა წერეთელმა
20:09- საბჭოს სხდომა დატოვა პაატა ბრეკაშვილმა
20:09 წუთზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი თურქია

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურისა და მედიის სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.06.2015 , N49
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30 სასწავლო კომპონენტი
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, ჭავჭავაძის გამზირი N14, კორპუსი IV
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- **ირაკლი ბურდულმა**
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი გეგენავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა, 2015 წლის 12 ივნისს აკრედიტაციის გავლევის შემდეგ, განახლებული სახით არის წარმოდგენილი, რაც გამოხატულია პროგრამისთვის სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი დარგობრივი კურსის დამატებაში. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. აქედან სასწავლო კომპონენტი შედაგენს 30 კრედიტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას სოციოლოგიაში. პროგრამის მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია სსიპ - ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან, მიმართულია მაღალი სამეცნიერო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 2 ნოემბერს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ - დან 18:00 სთ - მდე. ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. შეხვედრები ურთიერთპატივისცემისა და საქმიანი დისკუსიის ატმოსფეროში წარიმართა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში მონაწილეებმა, პროგრამის წარმოჩენისას, გამოავლინეს მაღალი პასუხისმგებლობა და ემოციური ჩართულობა, რამაც უზრუნველყო პროგრამის შესახებ ამომწურავი და საიმედო ინფორმაციის მიღება. როგორც მან აღნიშნა ვიზიტის დროს იყო კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, თუმცა მისი თქმით, ვინაიდან სახელმწიფო სადოქტორო პროგრამებს არ აფინანსებს და დოქტორანტებს თვითონ უწევთ სამეცნიერო კვლევის ჩატარებაც და ამავე დროს მუშაობაც ეს ლოგიკურიც და გასაგებიცაა, როგორც მან აღნიშნა, დოქტორანტებთან გასაუბრებებმა ცხადყო მათი მოტივაცია და ამავე დროს კომპენტენციაც.

ექსპერტმა ანა კირვალიძემ აღნიშნა, რომ „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამას გააჩნია უნიკალურობა, ეს არის სიახლე ქვედარგობრივ მიმართულებებში. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის გააჩნია რესურსის მზაობა. დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო მუშაობის პროცესში არა მხოლოდ თავიანთი თემების მიმართულებით, არამედ მომიჯნავე მიმართულებებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იყო საკმაოდ კომპენტენტური.

პროგრამის ხელმძღვანელმა ლია წულაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებთან მუშაობა იყო ძალიან საინტერესო, მათი მხრიდან დაისვა კომპენტენტური და საინტერესო კითხვები. მისი თქმით, პროგრამა სულ 5 წელია რაც არსებობს და პირველად გადის რეაკრედიტაციას. ამჟამად პროგრამას ჰყავს 2 დოქტორანტი, რომელთა დისერტაციის დაცვაც მოხდება 2021 წელს. სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში, რაც უზრუნველყოფილია დაწესებულები მიერ. ის პირადად ხელმძღვანელობს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, რომელშიც ამჟამად ჩართული ყავს სამი დოქტორანტი, თუმცა მისი თქმით 2021 წელს იწყებს ახალ პროექტს „ჰორიზონტი 2020“ რომლისთვისაც ევროპის მეცნიერების ღამეს სახელმწიფომ სწორედ ამ პროექტის მოგებისთვის დააჯილდოვეს. მას შესაძლებლობა აქვს 6 ადამიანი ჩართოს აღნიშნულ პროექტში და კიდევ უფრო გაიღრმავონ მათი ემპირიული უნარები. მან დიდი იმედი გამოთქვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზეც, მისი თქმით უკვე არსებობს ერთი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებელია სტუდენტებთან საერთო სემინარების ჩატარება.

სხომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის სწორედ აგებული და სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ მრავალფეროვან პროექტებში და განახორციელონ კვლევები. საბჭოს წევრმა ასევე წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ის, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული არ წარმოადგენს პროგრამის ნაკლს. წარმოდგენილი დოქტორანტების პუბლიკაციები შესრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე.
ასევე, საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა გამოხატა დადებითი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ *სრულად გაიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაცის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 20:40 წუთზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა